ახალგაზრდების ხედვა გაერო-ს რეზოლუცია „ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის“ შესახებ საქართველოში

კვლევის ანგარიში

თბილისი
2024

პუბლიკაცია მომზადდა FLIP-ის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირისა (EU) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ ინიციატივას მდგრადი და ინკლუზიური მშვიდობისთვის. გამოცემის შინაარსი წარმოადგენს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლის ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას და არცერთ შეთხვევაში უნდა იქნას აღქმული, როგორც EU-ის ან UNDP-ს მოსაზრება.

ავტორები: ელეონორა ჭანია
გიორგი რიჭვაძე

სარჩევი

შესავალი 5
მეთოდოლოგია 6
მშვიდობის პერსონალური აღქმები 7
მშვიდობა, ადამიანის უფლებები, სოციალური სამართლიანობა 8
მშვიდობა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები 9
მშვიდობა და უსაფრთხოება 10
უსაფრთხოება, სახელმწიფო და უფლებები 10
უსაფრთხოება და დაუცველობა 11
კონფლიქტის აღქმა ახალგაზრდებში 12
კონფლიქტი, ისტორია და იდენტობა 13
ახალგაზრდების როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში 14
ფორმალური ინსტიტუტები და ახალგაზრდების ჩართულობა
სამშვიდობო პროექტებში 15
ახალგაზრდების ჩართულობის ბარიერები და გამოწვევები 16
ახალგაზრდების ინფორმირებულობა გაეროს რეზოლუცია „ახალგაზრდების,
მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგის თაობაზე და წინადადებები
მომავალი მუშაობისთვის 21
რეკომენდაციები 22
    არასამთავრობო სექტორისათვის 23
    ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის 24
დასკვნა 26

შესავალი

გაეროს რეზოლუცია „ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების (YPS)“ დღის წესრიგის თანახმად ახალგაზრდები არა მხოლოდ სამშვიდობო ძალისხმევის პასიური მიმღებები, არამედ მდგრადი სამშვიდობო პროცესების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორები არიან. ეს პარადიგმა ოფიციალურად 2015 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს 2250-ე რეზოლუციით გამყარდა, რომელმაც მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ახალგაზრდების გაძლიერებისა და ჩართულობის მნიშვნელობა აღიარა. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ბევრ რეგიონში ახალგაზრდები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. მათ ახალ პერსპექტივებს და ინოვაციურ მიდგომებს აქვთ პოტენციალი, ტრადიციული ნარატივები შეცვალონ და კონფლიქტით დაშორებულ საზოგადოებებში განხეთქილება გადალახონ. მიუხედავად ამისა, YPS-ის მსგავსი სტრუქტურირებული ჩარჩოების გარეშე, ეს პოტენციალი ხშირად გამოუყენებელი რჩება. YPS დღის წესრიგი მშვიდობის მშენებლობაში ახალგაზრდებისთვის აქტიური მონაწილეობის ფორმალურ გზას უზრუნველყოფს; ხაზს უსვამს მათი დაცვის მნიშვნელობას, ძალადობის პრევენციას და მრავალსექტორული პარტნიორობის შექმნას; მხარს უჭერს ახალგაზრდების, როგორც მშვიდობის მშენებელების გაძლიერებას.

საქართველოში YPS-ის დღის წესრიგის დანერგვა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ატარებს. მიუხედავად მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტისა, კვლევისა თუ სამოქმედო გეგმისა, რომლებიც კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ახალგაზრდობის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს, საქართველოში ახალგაზრდები კონფლიქტების მოგვარების ფორმალურ პროცესებში ნაკლებად არიან წარმოდგენილი. ამას კონფლიქტების ძირეული მიზეზებისა და პოტენციური გადაწყვეტის შესახებ ქართველი ახალგაზრდების შეხედულებების ყოვლისმომცველი კვლევის არარსებობა ემატება. ყველაფერი ეს იწვევს არაეფექტურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ახალგაზრდა თაობის უნიკალურ საჭიროებებსა და შეხედულებებს არ ასახავს. გარდა ამისა, ბევრი ახალგაზრდა, ინფორმაციისა და რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, ამ კონფლიქტების წარმოშობისა და მათი გადაჭრისკენ მიმართული ძალისხმევის შესახებ საკმარისად ინფორმირებული არ არის. ახალგაზრდების პერსპექტივების გააზრებისა და მათი ჩართვის პროაქტიული ზომების გარეშე, პოლიტიკური გადაწყვეტილებები საზოგადოების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების მომცველი ვერ იქნება, რაც ამ ინიციატივების ეფექტურობასა და მდგრადობას ზღუდავს.

YPS-ის ჩარჩოს დანერგვა საქართველოში ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს გაძლიერდნენ და შერიგებისა თუ რეგიონულ სამშვიდობო ინიციატივებში აქტიურად ჩაერთონ. კერძოდ, მან შეიძლება გაჭიანურებული კონფლიქტებისგან გამოწვეული მძლავრი გაუცხოების შერბილებას შეუწყოს ხელი. გაუცხოებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა თაობებზე, რომელთაც აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გამოცდილება არ გააჩნიათ. YPS ჩარჩო შეიძლება გახდეს ხიდი და ორივე მხარეს მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ურთიერთგაგების, თანამშრომლობისა და კოლექტიური მოქმედებისთვის საერთო სივრცეების შექმნას შეუწყოს ხელი.

ახალგაზრდების ჩართვა კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიებში აუცილებელია არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისათვის, არამედ ახალგაზრდა თაობაში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისადმი ერთგულების გაძლიერებისათვის. კონფლიქტების მოგვარების პროცესებში ახალგაზრდების თანმიმდევრული ჩართვა და მათი პერსპექტივების შესწავლა პასუხისმგებელ პირებს მისცემს ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც ქართული საზოგადოების რეალურ საჭიროებებს უკეთ ასახავენ. ახალგაზრდებს კონფლიქტების მოგვარების კუთხით ახალი მიდგომები შემოაქვთ. შესაბამისად, YPS-ის განხორციელება ძლიერი საზოგადოების აშენებასა და სამშვიდობო პოლიტიკაში ასაკობრივად და გენდერულად პასუხისმგებლიანი სტრატეგიების ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

მეთოდოლოგია

აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება კვლევას, რომელიც თვისებრივი მეთოდოლოგიის, კერძოდ კი ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით ჩატარდა. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს ჯგუფური ინტერვიუების ფორმატში მონაწილეთა მობილიზებას და მიზნად ისახავს რესპონდენტებს შორის იდეებისა და შეხედულებების გაცვლის ხელშეწყობას. ამ კვლევისთვის შემუშავდა სტრუქტურირებული თემატური ბლოკები და სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც დისკუსიასა და სიღრმისეული პასუხების მიღებას შეუწყობდა ხელს.

კვლევის სამიზნე ჯგუფში 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები შედიოდნენ. მათ „კავკასიური სახლის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარეს, რომლებიც ფოკუსირებული იყო გაეროს რეზოლუციაზე – „ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრი-

გზე. შვიდ საუნივერსიტეტო ქალაქში სულ ცხრა ფოკუს-ჯგუფის სესია ჩატარდა, როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინ ფორმატში. ფიზიკური შეხვედრები თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში გაიმართა. ონლაინ სესიები კი Zoom პლატფორმის საშუალებით დაორგანიზდა და მათში ახალგაზრდები თბილისიდან, ახალციხიდან, თელავიდან და გორიდან მონაწილეობდნენ. თითოეული ფოკუს-ჯგუფი 6-დან 10-მდე მონაწილეს მოიცავდა. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა საერთო რაოდენობა 75-ს შეადგენდა.

აღნიშნული მეთოდოლოგიის საშუალებით მოხდა მონაწილეთა შეხედულებების დეტალური შესწავლა. ამასთანავე, მან ხელი შეუწყო დინამიურ დისკუსიებს, უზრუნველყო ახალგაზრდების პერსპექტივების დანახვა და „ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ რეზოლუციის შესახებ ახალგაზრდების აღქმების გამოკვეთა.

მშვიდობის პერსონალური აღქმები

მშვიდობა, როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღწერენ, არის მრავალშრიანი კონცეფცია, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე კონფლიქტის არარსებობა. რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მშვიდობა იწყება ურთიერთშეთანხმებით და სხვადასხვა წარმომავლობის, რასისა და იდეოლოგიის ადამიანების ჰარმონიული თანაცხოვრებით. მშვიდობიან სახელმწიფოში ინდივიდები ერთმანეთისადმი სოლიდარულები არიან, ეხმარებიან და მხარს უჭერენ თანამოქალაქეებს და არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ეს ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა ქმნის მშვიდობიანი საზოგადოების საფუძველს, საზოგადოებისა, სადაც ადამიანები პოზიტიურად არიან ჩართულნი საერთო საქმეებში და საყოველთაო კეთილდღეობას უწყობენ ხელს.

მონაწილეები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მშვიდობა არ არის მხოლოდ ძალადობის არარსებობა, არამედ იგი გულისხმობს განსხვავებული მოსაზრებების, იდეოლოგიების ან პერსპექტივების თანაარსებობას ისე, რომ ამ განსხვავებებმა მტრობა ან განხეთქილება არ გამოიწვიონ. ბევრმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობა ჯანსაღი კრიტიკისა და დიალოგის სივრცეს მოიცავს, რაც ხელს უწყობს პიროვნულ და სოციალურ ზრდას. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მშვიდობა განმარტა, როგორც „ძალადობრივი კონფლიქტის არარსებობა“, და დასძინა, რომ იდეოლოგიური ან სოციალური კონფლიქტები შეიძლება არსებობდეს, იმ პირობით, რომ ის არ გადაიზრდება ძალადობაში. ამრიგად, მშვიდობა არის დინამიკური სივრცე, სადაც ადამიანებს შეუძლიათ კონსტრუქციულად ჩაერთონ სხვადასხვა ურთიერ-

თობაში, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ ეთანხმებიან ერთმანეთის შეხედულებებს.

ცენტრალური თემა, რომელიც ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებიდან გამოიკვეთა, მშვიდობასა და უსაფრთხოებას შორის კავშირი იყო. რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მშვიდობა მჭიდრო კავშირშია დაცულობის გრძნობასთან – იქნება ეს საკუთარ სახლში, საზოგადოებასა თუ ქვეყანაში. ბევრი მშვიდობას თავისი უფლებებისა და თავისუფლების დაცვას უკავშირებდა. უსაფრთხოების ეს განცდა ასოცირდება მიდგომასთან, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო თამაშობს კრიტიკულ როლს მშვიდობის უზრუნველყოფაში კანონების დაცვით, ადამიანის უფლებების გარანტიით და სამართლიანობის ხელშეწყობით. როგორც ერთმა მონაწილემ თქვა, „მშვიდობა არის, როცა თავს დაცულად გრძნობ შენს ქვეყანაში ან სივრცეში". აღნიშნული პოზიცია ასახავს ფართო აზრს იმის შესახებ, რომ მშვიდობა ღრმად არის დაკავშირებული როგორც პირად, ისე კოლექტიურ დაცულობასთან.

მშვიდობის ცნების ინტერპრეტაციის დროს ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები განსაკუთრებულ აქცენტს თავისუფლების საკითხზე სვამდნენ. მათთვის მშვიდობიანი საზოგადოება ინდივიდებს საშუალებას აძლევს იცხოვრონ ავთენტურად და გადაწყვეტილებები მიიღონ თავისუფლად, ჩაგვრის ან არასტაბილურობის შიშის გარეშე. რესპონდენტების გაზიარებული მოსაზრება იყო, რომ მშვიდობა ქმნის გარემოს პიროვნული და კოლექტიური განვითარებისთვის, სადაც ინდივიდებს შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს და საკუთარი თავი ღიად გამოხატონ. როგორც ერთმა მონაწილემ განმარტა, „მშვიდობა არის გარემო, სადაც ადამიანს შეუძლია მშვიდად იცხოვროს და იყოს ის, ვინც სინამდვილეშია", რაც ხაზს უსვამს მშვიდობასა და პიროვნულ თავისუფლებას შორის კავშირს.

რესპონდენტებმა მშვიდობის პიროვნულ განზომილებაზე იმსჯელეს და იგი განმარტეს, როგორც უსაფრთხოებისა და სიმშვიდის ყოველდღიური განცდა. ბევრისთვის მშვიდობა ნიშნავს გაღვიძებას შიშის გარეშე. ეს არის უსაფრთხოების განცდა, რომელიც ინდივიდებს საშუალებას აძლევს, ფოკუსირდნენ მომავალზე და მუდმივი შფოთვის გარეშე იცხოვრონ. ერთ-ერთმა მონაწილემ განცდა ამგვარად შეაჯამა და გადმოსცა: „მშვიდობა არის, როცა თავს მშვიდად გრძნობ, როცა არ გეშინია".

მშვიდობა, ადამიანის უფლებები, სოციალური სამართლიანობა

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს ადამიანის უფლებების მნიშვნელობას მშვიდობის შინაარსის განსაზღვრისას. მათი აზრით, მშვიდობიანი საზოგა-

დოება არის საზოგადოება, რომელშიც დაცულია ძირითადი უფლებები და პატივს სცემენ ადამიანის ღირსებას. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მშვიდობა პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის, პირადი უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გარეშე ვერ იარსებებს. როგორც ერთმა მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა, „ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით ძირითადი უფლებები, უნდა იყოს დაცული“, რაც გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა მშვიდობის საბაზისო პირობაა და მის შესანარჩუნებლად სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოებაა საჭირო.

ბევრი რესპონდენტი მშვიდობას სტაბილურობას უკავშირებს, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ დონეზე. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მშვიდობა გულისხმობს კარგ ურთიერთობას ოჯახებში, უბნებსა და თემებში, სადაც თანასწორობა და სამართლიანობა ჭარბობს. სოციალური პოლარიზაციის არსებობა, კორუფცია და უთანასწორობა ხშირად მშვიდობის ხელშემშლელ პირობად სახელდებოდა. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „მშვიდობა არის სტაბილურობა, პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით“, რაც ხაზს უსვამს კონცეფციის ფართო და ყოვლისმომცველ ხასიათს. მათთვის მშვიდობა გულისხმობს ჰარმონიულ საზოგადოებას, სადაც ინდივიდები ხელს უწყობენ საერთო სიკეთეს, კონფლიქტის ან არასტაბილურობის შიშის გარეშე.

მშვიდობა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების მნიშვნელობასაც და აღნიშნეს, რომ გლობალური მშვიდობა ცალკეული ქვეყნების უსაფრთხოებას უწყობს ხელს. მშვიდობა, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, მოიცავს არა მხოლოდ სიმშვიდეს ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ნორმების პატივისცემასაც. ქვეყნებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის შესანარჩუნებლად და კონფლიქტების არა ძალადობრივად, არამედ დიპლომატიური გზით გადასაწყვეტად. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, „მშვიდობა ასევე არის სახელმწიფოთა შორის დადგენილი კანონების მორჩილება“, რაც ხაზს უსვამს საერთაშორისო ურთიერთობების როლს გლობალური მშვიდობის შენარჩუნებაში.

მშვიდობა და უსაფრთხოება

კითხვაზე, თუ რას ნიშნავს უსაფრთხოება, მონაწილეებმა თავიანთი საზრუნავისა და იმედების განსხვავებული პერსპექტივები წარმოადგინეს. ერთი მონაწილის განმარტებით, მისთვის უსაფრთხოება დისკრიმინაციისგან დაცვის გარანტიაა და ამ გარანტიის დაცვაში შესაბამისი ორგანობის სწრაფი ჩართულობა და აგრესორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაა. უსაფრთხოების ეს იდეა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ემოციურ და ფსიქოლოგიურ დაცვას, და იმედს რომ სახელმწიფო, საზოგადოება ან რომელიმე სხვა სუბიექტი დაიცავს და დაეხმარება ადამიანს საფრთხის შემთხვევაში.

სხვა რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ უსაფრთხოება ნიშნავს ცხოვრებას შიშის გარეშე – იქნება ეს ფიზიკური ზიანის თუ ფსიქოლოგიური ტრავმის შიში. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას პირადად არ განუცდია ძალადობა თავის უშუალო გარემოში, აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რომელთა წინაშეც დგანან მოქალაქეები.

სხვა მონაწილემ უსაფრთხოება პირდაპირ დაუკავშირა მშვიდობას და უფრო ფართო სოციალურ-პოლიტიკურ კლიმატს. რესპონდენტის აზრით, ასეთი აღქმა განსაკუთრებით აქტუალურია მათთვის, ვინც 90-იანი წლების უმძიმეს პერიოდში აღიზარდნენ. გამოკითხულები წუხდნენ, რომ ბოლო ხანებში ინდივიდის უსაფრთხოება დაცული არ არის და ადამიანებს უსაფრთხოების განცდა არ აქვთ.

უსაფრთხოება, სახელმწიფო და უფლებები

რესპონდენტებმა ისაუბრეს სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტებისადმი ნდობის ნაკლებობაზე. სამოქალაქო სექტორის რამდენიმე წარმომადგენელმა გამოხატა ღრმა შეშფოთება, რომ ძნელად წარმოუდგენიათ, უზრუნველყონ თავიანთი ოჯახების მომავალი ქვეყანაში, რომელსაც მართავს „საზოგადოების ადეკვატურად დაცვის უნარის არმქონე პარტია“.

კიდევ ერთმა მონაწილემ ხაზი გაუსვა რუსეთისა და მისი ხელისუფლებისადმი ყოვლისმომცველ შიშს. მისი აზრით, ავტორიტარიზმი ხელს უწყობს გარემოს, სადაც უფლებები სათანადოდ არ არის დაცული. რესპონდენტების აღქმით, უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული თავისუფლებასთან და მის დაცვასთან; რომ თავისუფლების გარანტიის გარეშე ადამიანი თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს.

ძალადობის ღრმად ფესვგადგმული შიში არაერთხელ გამოიკვეთა. მონაწილეებმა აღწერეს, რომ თავს დაუცველად გრძნობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათ აქვთ შიში, რომ აზრის გამოხატვამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ან სიტყვიერი აგრესია. რესპონდენტებმა გაიხსენეს დისკრიმინაციის ან შევიწროების კონკრეტული ინციდენტები, განსაკუთრებით საჯარო სივრცეებსა ან სოციალურ ქსელებში და ხაზი გაუსვეს ბულინგის ან საკუთარი შეხედულებების გამო შურისძიების შიშის გარეშე ცხოვრების მნიშვნელობას. ამ საფრთხის მკაფიო მაგალითი იყო ბათუმელი ახალგაზრდა ქალის მონათხრობი, როდესაც მისი მეგობარი დისკრიმინაციას განიცდიდა სექსუალური ორიენტაციის გამო. მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა დაიცვას ინდივიდების უსაფრთხოება. რესპონდენტებისთვის ნამდვილი უსაფრთხოება სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებისათვის მშვიდობის უზრუნველყოფის გარანტიას ნიშნავს.

პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას რამდენიმე მონაწილემ გამოხატა შეშფოთება დემოკრატიის ეროზიასთან დაკავშირებით. მათ ხაზი გაუსვეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, ეფექტური პოლიციისა და ძლიერი სამართალდამცავი მექანიზმების არსებობის აუცილებლობას, რომელთა გარეშე ინდივიდებს უსაფრთხოების განცდა ვერ ექნებათ.

უსაფრთხოება და დაუცველობა

ერთმა რესპონდენტმა უსაფრთხოების სოციალურ ასპექტზე გააკეთა აქცენტი და ეთნიკური, ენობრივი და სხვა ნიშნების მიხედვით განსხვავებულ მოპყრობზე ისაუბრა. მისი თქმით, ეს ჯგუფები, სტიგმატიზაციის ან სახელმწიფოსგან უყურადღებობის გამო, ხშირად თავს დაუცველად გრძნობენ. ერთ-ერთმა მონაწილემ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ისინი მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან უსაფრთხოების კონტექსტში.

საუბარი ასევე შეეხო თაობათა შორის განხეთქილებას უსაფრთხოების აღქმის კონტექტში. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს აქვს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს დაცულობა. მათ აღნიშნეს, რომ აზრის გამოთქმას შეიძლება მკვეთრი რეაქციები მოჰყვეს, ხოლო განსხვავებული მოსაზრებების გამო აგრესიის ზრდა განსაკუთრებით საგანგაშო ტენდენციაა.

დისკუსიების დროს რესპონდენტებმა აქცენტი გააკეთეს ბულინგზე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე სოციალურ მედიაში. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ თუ როგორ შეუძლია დაბულინგების შიშს გააჩუმოს ადამიანები და ხელი შეუშალოს მათ თავიანთი აზრების ან გრძნობების გაზიარებაში.

კონფლიქტის აღქმა ახალგაზრდებში

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების ერთ-ერთი აქტუალური თემა კონფლიქტის პირადი და საზოგადო ბუნება იყო. ბევრმა მონაწილემ აღწერა კონფლიქტი, როგორც არა მხოლოდ აბსტრაქტული კონცეფცია, არამედ ის, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ერთმა რესპონდენტმა თქვა: „კონფლიქტი არ არის მხოლოდ ბრძოლა; ეს არის ნდობის დაკარგვა ადამიანებს შორის, რომლებიც ოდესღაც ერთად ცხოვრობდნენ“. ამ მოსაზრებას სხვა რესპონდენტებიც დაეთანხმნენ და აღნიშნეს, რომ კონფლიქტი ქმნის განხეთქილებას, რომელიც პოლიტიკურ დავებს სცილდება და პირად ურთიერთობებსა და სოციალურ ერთიანობაზე ახდენს გავლენას.

ახალგაზრდებმა ისაუბრეს, თუ რა გავლენა აქვს კონფლიქტს მათ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით მათ მომავალზე. ბევრმა აღნიშნა უიმედობისა და იმედგაცრუების გრძნობა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა: „როდესაც კონფლიქტის ზონაში იზრდები, ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს შენი ოცნებები ყოველთვის შეჩერებულია“. ეს ასახავს კონფლიქტის უფრო ფართო სოციალურ შედეგებს, რადგან ის არა მხოლოდ არღვევს აწმყოს, არამედ ზღუდავს შესაძლებლობებს მომავალი თაობებისთვის. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კონფლიქტის შედეგები სცილდება მყისიერ ძალადობას და გავლენას ახდენს განათლებაზე, დასაქმებასა და ზოგადად ცხოვრების ხარისხზე.

დისკუსიების დროს მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს კონფლიქტურ სიტუაციებში დიალოგისა და კომუნიკაციის მნიშვნელობას. ახალგაზრდებმა კონფლიქტის მხარეებს შორის ღია საუბრების აუცილობლობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ გაუგებრობები ხშირად ამძაფრებს დაძაბულობას. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, „ჩვენ მეტი უნდა ვისაუბროთ. ერთმანეთის იგნორირება მხოლოდ გააღრმავებს განხეთქილებას“. დიალოგისკენ ეს მოწოდება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ კონფლიქტი შეიძლება კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების გზით მოგვარდეს და არა ძალადობრივი მეთოდით გადაიჭრას.

კონფლიქტი, ისტორია და იდენტობა

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს კონფლიქტის ძირეულ მიზეზებს, რომლებიც მათ დააკავშირეს ისტორიულ წყენასთან, სოციალურ უსამართლობასა და ეკონომიკურ უთანასწორობასთან. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „კონფლიქტები ხშირად წარმოიქმნება წარსულის გადაუჭრელი საკითხებისაგან – ისეთი საკითხებისაგან, რომლებზეც არასდროს ვსაუბრობთ, მაგრამ გვაწუხებს“. ეს პერსპექტივა ასახავს იმის აღიარებას, რომ მრავალი კონფლიქტი ღრმად არის ფესვგადგმული ისტორიულ კონტექსტში; რომ ძირითადი საკითხების მოგვარება გადამწყვეტია ტრანსფორმაციისთვის. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს შერიგების პროცესების აუცილებლობას, რომელიც აღიარებს ამ ისტორიულ წინააღმდეგობებს და არ უგულებელყოფს მათ.

დისკუსიებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო იდენტობის როლი კონფლიქტში. ბევრმა მონაწილემ გამოხატა, რომ კონფლიქტები ხშირად ყალიბდება ეთნიკური, ეროვნული ან კულტურული იდენტობების მიხედვით, რაც იწვევს განცდას – „ჩვენ მათ წინააღმდეგ“. როგორც ერთმა მონაწილემ თქვა, „კონფლიქტი ხშირად ჩნდება იმის განცდით, რომ იდენტობას საფრთხე ემუქრება. როდესაც ადამიანები გრძნობენ, რომ ისინი განდევნილები ან მარგინალიზებულნი არიან, სწორედ მაშინ იზრდება დაძაბულობა“. ეს გაგება ასახავს იდენტობის საკითხების განხილვის მნიშვნელობას კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში, რათა ხელი შეუწყოს ინკლუზიურობასა და ურთიერთგაგებას.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ასევე გამოთქვეს შეშფოთება კონფლიქტებში გარე აქტორების როლის შესახებ, განსაკუთრებით იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება მათმა ინტერვენციამ არსებული დაძაბულობები გაამწვავოს. ბევრმა გამოთქვა სკეპტიციზმი გარე ძალების ჩართულობის მიმართ და გაიხსენეს ისეთი შემთხვევები, როდესაც მათ თავიანთი ინტერესები ადგილობრივი თემების საჭიროებებზე წინ დააყენეს. ერთმა რესპონდენტმა შენიშნა: „როდესაც გარე აქტორები შემოდიან თავიანთი გადაწყვეტილებით, მათ ხშირად ავიწყდებათ, რომ ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით ჩვენი პრობლემები“. ეს პერსპექტივა ხაზს უსვამს კონფლიქტის მოგვარების პროცესში ადგილობრივი აქტორების ჩართულობის მნიშვნელობას.

ახალგაზრდების როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა თვალთახედვით, ახალგაზრდების როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობაში უმნიშვნელოვანესია. გამოკითხულთა აზრით, ახალგაზრდები მოტივირებულნი არიან ქვეყანის განვითარებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანისთვის. ახალგაზრდებს აქვთ დიდი პოტენციალი წვლილი შეიტანონ მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. თუმცა, მათ ჩართულობას სტრუქტურული უთანასწორობა, თაობათა დამოკიდებულებები და სოციალური პრობლემები აფერხებს.

ახალგაზრდები ხშირად უფრო მეტად არიან დიალოგისთვის, თანამშრომლობისა და ახალი იდეებისთვის მზად, ვიდრე უფროსი თაობა. ახალგაზრდები არიან ცვლილებების მძლავრი აქტორები, განსაკუთრებით მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში, რადგან ისინი აპროტესტებენ არსებულ ნორმებს და შემოაქვთ ინოვაციური მიდგომები ფესვგადგმული პრობლემების მოსაგვარებლად.

რესპონდენტები ამბობენ, რომ მშვიდობის ხელშეწყობის პასუხისმგებლობა ახლა ახალგაზრდებს ეკისრებათ, რადგან წინა თაობებმა ვერ შეძლეს მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ, ერთი მხრივ, ახალგაზრდები შესაძლოა ცვლილებების წყარო იყვნენ, თუმცა საზოგადოების სხვა წევრების მსგავსად, ასევე არსებობს ახალგაზრდებით მარტივად მანიპულირების რისკიც: „ახალგაზრდებზე ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული და უფრო თავისუფლად აზროვნებენ, მაგრამ „ყალბ“ ხელისუფლებას შეუძლია ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, გადაიბიროს და სხვა რელსზე დააყენოს“.

ახალგაზრდებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში და ხელი შეუწყონ პოლიტიკურ ცვლილებებს. ერთ-ერთი რესპონდენტი ამის საილუსტრაციოდ ისტორიულ მაგალითს იხსენებს: „საქართველოს ძალიან ბევრი მაგალითი აქვს, როდესაც ახალგაზრდებმა, მათმა ჩართულობამ და თუნდაც პროტესტმა შეცვალეს რაღაც კონკრეტული საკითხები, მაგალითად, სულ მახსენდება დედაენის დღე, ენის შეცვლას რომ ცდილობდნენ და რუსული ენა რომ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენად გამოცხადებული“.

გამოკითხულთა აზრით, ახალგაზრდებს არ აქვთ გააზრებული თავიანთი როლი მშვიდობის მშენებლობაში, რაც გამოწვეულია ინფორმირებულო-

ბის დაბალი ხარისხით. მათი აზრით, ახალგაზრდებმა არ იციან თავიანთი უფლებები და ის პოტენციური პოზიტიური ზეგავლენა, რაც მშვიდობისა და უსაფრთხოების მშენებლობაში შეუძლიათ შეიტანონ. ასევე, ახალგაზრდები ხშირად გრძნობენ, რომ ინდივიდუალურად არ შეუძლიათ დიდი გარდატეხის შეტანა მოცემულ რეალობაში.

გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების ინტერესი მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების მიმართ მაღალია, თუმცა არსებული სისტემა ჩაკეტილია და ბევრი ახალგაზრდა ვერ ერთვება პროცესში.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული სემინარები ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს, მეტი გაიგონ სამშვიდობო და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა სხვადასხვა რეგიონში საუნივერსიტეტო სივრცე წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის იმ ძირითად შესაძლებლობას, სადაც ისინი იღებენ მეტ ინფორმაციას მშვიდობის მშენებლობის შესახებ.

ახალგაზრდები ასევე ხაზს უსვამენ აქტივიზმის მნიშვნელობას ადგილობრივ დონეზე, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც კონფლიქტის რისკი მაღალია. ახალ თაობას უფრო მეტად შეუძლია თემის დონეზე არსებული საკითხების გადაჭრა და პოზიტიური გავლენის მოხდენა: „კონფლიქტი რეალურად აჩერებს განვითარებას, მწვავედ აისახება ჯანმრთელობასა და ფსიქლოგიურ მდგომარეობაზე, ხელს უშლის ახალგაზრდებს მიზნების განხორციელებაში. ამავდროულად, ახალგაზრდები პირველები არიან ლოკალურ დონეზე, როცა საქმე პრობლემების აღმოფხვრაზე მიდგება“.

ფორმალური ინსტიტუტები და ახალგაზრდების ჩართულობა სამშვიდობო პროექტებში

ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების საკითხების მიმართულებით აქტიური არ არის და იშვიათად აწყობს სხვადასხვა პროექტს. ასევე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა ძირითადად ნომინალურია: „სახელმწიფოს დონეზე, მნიშვნელოვან საკითხებზე, ვფიქრობ, ახალგაზრდებს აზრს ფორმალურად ეკითხებიან, თუ ეკითებიან, რა თქმა უნდა, ძირითადად არ არის გათვალისწინებული ჩვენი აზრი და ჩვენი დამოკიდებულება“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები საგანმანათლებლო სივრცეში მშვიდობის

მშენებლობისა და უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ მსჯელობათა სიმწირეზე ამახვილებენ ყურადღებას. მათ შორის სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეში: „პირველი საგანმანათლებლო სივრცე ახალგაზრდისთვის არის სკოლა და სკოლაში უნდა ხდებოდეს ამ თემების წინ წამოწევა“. ასევე აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა ხელს უწყობს მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, თუმცა, მათი რესურსები შეზღუდულია და მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ აღწევს: „სამოქალაქო სექტორი, თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციები, თავიანთი ძალებით აკეთებენ ამას. რა თქმა უნდა, ძალიან მისასალმებელია და ძალიან კარგია, მაგრამ საერთო ამინდზე მაინც დიდი გავლენა არა აქვთ“.

ახალგაზრდების ჩართულობის ბარიერები და გამოწვევები

ახალგაზრდები მშვიდობისა და უსაფრთხოების ინიციატივებში მონაწილეობის მიღებისას უამრავ ბარიერს და გამოწვევას აწყდებიან. ერთ-ერთი მსგავსი შემაფერხებელი ფაქტორი არის რეგიონებსა და ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების უთანასწორო წვდომა სხვადასხვა პროექტებზე.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ძალიან ფრუსტრირებული, ძალიან პასიური ახალგაზრდობა არის რეგიონში. სოციალური უთანასწორობა, ქრონიკული უმუშევრობა, მუდმივი ეკონომიკური პრობლემები განაპირობებს ამ ყველაფერს. ბათუმი, ქუთაისი, თბილისი და ზუგდიდი ბევრად დიდი შესაძლებლობებისა და დიდი სივრცის მატარებელია“. ფოკუს-ჯგუფში ხშირად აღნიშნავდნენ ახალგაზრდებში სოციალურ ფონსაც, რომლის გამოც ისინი, ინტერესის მიუხედავად, შესაძლოა ვერ ახერხებდნენ სამშვიდობო აქტივობებში ჩართულობას: „ახლა ჩვენ აქ ვსხედვართ, თუმცა არის ბევრი სოფელი სადაც ჩვენი ტოლები მოცვის პლანტაციაში არიან და მოცვს კრეფენ იმიტომ, რომ ჰქონდეთ ერთი კვირის საჭმელი. ზუსტად ეგ არის, გარემოებას გააჩნია, თორემ ჩართულობის სურვილი არსებობს“. ამასთანავე სოციალური უთანასწორობა და სიღარიბე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაბრკოლებას. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „რაც გამახსენდა ბარიერზე, ეს არის პრობლემის მოგვარებისთვის, მძიმე ყოფითი ცხოვრება, რადგან ადამიანის გონება მომართულია გადარჩენაზე და არა სხვა საკითხებზე ფიქრისთვის“.

ახალგაზრდების სამშვიდობო და უსაფრთხოების ინიციატივებში ჩართულობას აფერხებს იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების უსაფრთხოების საკითხიც: „ახალგაზრდების ძალიან დიდი ნაწილი გადმოდის

აფხაზეთიდან და სტუდენტების დიდი ნაწილი არის აფხაზეთიდან დევნილი და მათთვის ამ პროექტებში ჩართულობა პირდაპირ მათ უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული“. რამდენიმე მონაწილემ ხაზი გაუსვა ახალგაზრდების ჩართულობაში გენდერულ და კულტურულ ბარიერებსაც: „ყოფილა შემთხვევა, როდესაც ოჯახის ფაქტორი ყოფილა დამაბრკოლებელი. მაგალითად, მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი როდესაც მივდიოდით ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრაზე, ჩემს მეგობარს ოჯახმა არ დართო წამოსვლის ნება. ეს ბარიერები აქვთ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით გოგონებს“.

ფოკუს-ჯგუფში გამოიკვეთა, რომ ტრადიციული ფორმალური შეხვედრები მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ნაკლებად ეფექტურია და საჭიროებს განახლებას.

რესპონდენტთა აზრით, ყველა სამშვიდობო ან უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებულ პროექტს უნდა ჰქონდეს განგრძობადი ხასიათი, რაც შეუწყობს ხელს ამ თემების უფრო მეტ აქტუალიზაციას და მდგრადობას: „პროექტის დასრულების შემდეგ კლუბების შექმნა კარგი იდეაა. შევხვდებით ერთმანეთს, გვექნება ერთმანეთში საუბარი, გავმართავთ თამაშებს და დისკუსიებს“.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ სათქმელის მიტანას ახალგაზრდებამდე მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ ხელოვნების გამოყენებით. გამოკითხულთა აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, არსებობდეს უფრო მეტი ტრენინგ-შეხვედრები, სადაც თანატოლები გაუზიარებენ ცოდნას ერთმანეთს, რადგან ასეთ დროს უფრო მეტად გახნილები არიან ახალგაზრდები ახალი ცოდნის მისაღებად.

რესპონდენტების აზრით ახალგაზრდებში ამ საკითხების პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანია ტარდებოდეს ბლოგების, ვიდეოების ან ფოტოების კონკურსები. ამასთანავე მცირებიუჯეტიანი პროექტები ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს, არამარტო ცოდნა მიიღონ მშვიდობის მშენებლობასა და უსაფრთხოების შესახებ, არამედ საშუალება ეძლევათ, პრაქტიკულად განახორციელონ თავიანთი ინიციატივები და იდეები. სიმბოლური საჩუქრები, სერტიფიკატები, სამაგიდო თამაშები, წიგნების ვაუჩერები და სხვა ტიპის მცირებიუჯეტიანი საჩუქრები ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ამ თემების ირგვლივ ინტერესის გაღრმავებას. ფოკუს-ჯგუფში გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებს მოტივაციას უმაღლებს გასვლითი ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, ბანაკები და მსგავსი სახის შეხვედრები.

ფოკუს-ჯგუფში უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდების ჩართულობა მშვიდობის მშენებლობაში მნიშვნელოვან გარდატეხას მოახ-

დენს, რადგან სწორედ ისინი არიან ყველაზე მეტად მიდრეკილები ცვლილებებისთვის: „ნებისმიერი ფუნდამენტური ცვლილება საქართველოს ან სხვა ქვეყნის ისტორიაში ხდებოდა ახალგაზრდების მიერ. რომ შევხედოთ უკანასკნელ მოვლენებს „აგენტების კანონის“ წინააღმდეგ, ყველაზე მეტად ახალგაზრდები გამოდიოდნენ. რეალურად, ჩანს, რომ ცვლილებების მომტანები ყოველთვის ახალგაზრდები არიან“. რესპონდენტების დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ახალგაზრდებს, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური პოლიტიკის დონეზე შეუძლიათ გარდამტეხი ცვლილებების მოტანა: „ახალგაზრდებს საკმაოდ დიდი ძალა აქვთ. ახალგაზრდების ტალღას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. აი, მაგალითად, ისტორიის კვალდაკვალ თუ ვისაუბრებთ, თუნდაც 9 აპრილი ან თუნდაც „გავრილოვის ღამე“ არის მტკივნეული, თუმცა მაგალითი იმისა, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ შეცვალონ ის, რაც არის. ზუსტად ახალგაზრდები არიან ის ძალა, რომელსაც შეუძლია, აქვს გამბედაობა და იბრძვის უკეთესი მომავლისთვის“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით სოციალურ-ეკონომიკური დაახლოება აფხაზებთან და ოსებთან პოზიტიურად აისახება სამომავლოდ მშვიდობის მშენებლობაზე. ასევე ისინი თვლიან, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდებიც უნდა იყვნენ ჩართულები, მაგრამ ისინი ხედავენ ამ პროცესში გამოწვევებსაც: „ფორმალურ საკითხებში ახალგაზრდების ჩართულობის ნაწილი მეტად სენსიტიურია, რადგან ამ ყოველივეს სჭირდება დიდი გამოცდილება და პრაქტიკა, ცოდნა. ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიმღებ პირებად რომ მოგვევლინონ ცოდნისა და პრაქტიკის გარეშე, ეს შეიძლება დამაზიანებელიც კი იყოს სახელმწიფოებრივ დონეზე“.

ახალგაზრდების აზრით იმისათვის, რომ მათი თანატოლები უფრო აქტიურად ჩაერთონ მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების საკითხებში აუცილებელია სხვადასხვა უნარის განვითარება. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ყველაზე მეტად უცხო ენების დაუფლების მნიშვნელობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. რესპონდენტთა აზრით, ასევე მნიშვნელოვანია კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესება, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ სწორი საკომუნიკაციო გზავნილების გაგზავნა კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასათან. მშვიდობის მშენებლობასა და უსაფრთხოებაში დეზინფორმაციასთან ბრძოლის უნარები და ტექნოლოგიების ცოდნა ახალგაზრდებს შესაძლებლობას მისცემს, უფრო ეფექტურად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების თემის ირგვლივ დასაქმების შესაძლებლობის ნაკლებობაა: „ჩემი აზრით, ჩემი ყველაზე დიდი პრობლე-

მა ის არის, რომ მიღებულ თეორიულ ცოდნას ვერ ვიყენებ პრაქტიკაში. ვსწავლობ დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე, მესამე კურსს ვამთავრებ და უშუალოდ ჩემი მიღებული ცოდნა ჯერ პრაქტიკულად არ განმიხორციელებია". სამშვიდობო საკითხებზე მუშაობისას აუცილებელია ინკლუზიურობა, მათ შორის ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა უმცირესობების ჩართულობა, რომლებიც ხელს უწყობენ მრავალფეროვანი გარემოს შექმნას.

ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის გარშემო არსებული თემების ანალიზისას გამოიკვეთა ძირითადი საკითხები, რომლებიც განსხვავდებოდა სქესის, რეგიონისა და ურბანულ-რურალური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს განსხვავებები ასახავს ახალგაზრდების სპეციფიურ გამოცდილებს, და სხვადასხვა ჯგუფის წინაშე მდგარ უნიკალურ გამოწვევებს, ქმნის საფუძველს მიზანმიმართული და ინკლუზიური პოლიტიკის რეკომენდაციებისთვის.

ახალგაზრდა ქალებში უპირველეს პრობლემად იდენტიფიცირდა პირადი უსაფრთხოების განცდა და გენდერული სტერეოტიპების გავლენა მათ უსაფრთხოების განცდაზე. მონაწილე ქალებმა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში მცხოვრებებმა, ერთ-ერთ მაგალითად დაასახელეს დაუცველობის განცდა ღამით გადაადგილებისას. ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული შევიწროებასა და საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებთან, რომლებიც ზღუდავს ქალების თავისუფლებას საჯარო სივრცეში და ქმნის დამატებით ემოციურ და ფსიქოლოგიურ ტვირთს. ბევრი ახალგაზრდა ქალისთვის „მშვიდობისა და უსაფრთხოების" კონცეფცია იყო ღრმად პირადი და დაკავშირებული მათივე თემებში უსაფრთხოდ და შიშის გარეშე ცხოვრებასთან.

აჭარის რეგიონიდან კვლევაში ჩართულმა ახალგაზრდა მუსლიმმა ქალებმა ხაზგასმით აღნიშნეს რელიგიური სიმბოლიკის გამოხატვასთან დაკავშირებული განსაკუთრებული გამოწვევა. ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებმა წამოაყენა ჰიჯაბის ტარებასთან დაკავშირებული საკითხები და მასთან ასოცირებული საზოგადოების აღქმა. ახალგაზრდა ქალებმა აღნიშნეს, რომ ჰიჯაბის ტარება იწვევს სტერეოტიპებს და სტიგმატიზაციას, რაც გავლენას ახდენს მათ შინაგან სიმშვიდესა და პიროვნულ უსაფრთხოებაზე. ეს გამოცდილება უნიკალურია აჭარის რეგიონისთვის, სადაც ეთნიკურად ქართველი მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობს და ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ იკვეთება კულტურული და რელიგიური იდენტობები გენდერთან და ყალიბდება ინდივიდუალური პერსპექტივები მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ.

საგულისხმოა, რომ კვლევის პერიოდმა (იგი ჩატარდა ე.წ „აგენტების კანონის" წინააღმდეგ არსებული მასშტაბური პროტესტის შემდეგ) გავ-

ლენა მოახდინა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებზე, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, როგორებიცაა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი. ამ პროტესტებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს ურბანულ არეალებში მცხოვრებ ახალგაზრდებზე, რომლებმაც თავიანთი სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდის რღვევა დაუკავშირეს გამოხატვის თავისუფლებისა და სამოქალაქო აქტივიზმში მონაწილეობის შეზღუდვას. აღსანიშნავია, რომ უფრო პერიფერიულ რეგიონებში ახალგაზრდები ნაკლებად იყვნენ ჩართულნი ამ საპროტესტო აქციებში და აცხადებდნენ, რომ თავს ამ მოვლენებისაგან მოწყვეტილად გრძნობდნენ. ეს მიუთითებს სამოქალაქო ჩართულობის მნიშვნელოვან ურბანულ-პერიფიულ განსხვავებებზე. პერიფერიულ არეალებში მცხოვრები ახალგაზრდები ხშირად თავს გარიყულად გრძნობენ ეროვნული პოლიტიკური პროცესებისგან და აქტივიზმის შესაძლებლობებიდან.

ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები ახალგაზრდები გამოხატავდნენ მკაფიო წუხილს კონფლიქტის ზონებთან სიახლოვესთან დაკავშირებით. აქ მშვიდობა ფიზიკურ უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან ასოცირდება. ამ რეგიონებში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა აღწერეს დაძაბული ატმოსფერო, რამაც ხელი შეუშალა ღია დისკუსიას და შეზღუდა მათი მზაობა განსხვავებული შეხედულებების გამოხატვისთვის. ეს ხაზს უსვამს დაუცველობის ნაკლებად თვალსაჩინო, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვან ფორმას, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული რეგიონალურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორებთან.

თითქმის ყველა ქალაქში ახალგაზრდებმა გამოხატეს შეშფოთება თაობათაშორისი განხეთქილების შესახებ, რაც აფერხებდა მათ სამოქალაქო ჩართულობას. ბევრმა აღნიშნა, რომ უფროს თაობას ხშირად უფრო კონსერვატიული შეხედულებები აქვს და ეს ქმნის დაძაბულობას, როდესაც ახალგაზრდები ცდილობდნენ გამოხატონ პროგრესული იდეები ან სცადონ სოციალური ცვლილებების ადვოკატირება. თაობათა ეს განხეთქილება განიხილებოდა, როგორც ბარიერი ახალგაზრდული აქტივიზმისთვის, რადგან ბევრი ახალგაზრდა გრძნობდა, რომ მათი ხმა არ იყო ისეთი ძლიერი თემისა და ოჯახის გარემოში, რაც ართულებდა მათ სამშვიდობო აქტივობებში ჩართვას.

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესი მშვიდობისა და უსაფრთხობის საკითხების მიმართ არის მაღალი, მაგრამ არსებობს ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ახალგაზრდების ჩართულობას. მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინიციატივების უმეტესობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაა ორგანიზებული, რაც ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სემინარებში, ბანაკებში, გასვლით ღონისძიებებსა თუ საერთაშორისო პროგრამებში.

მეორე მხრივ, მიუხედავად ახალგაზრდების ინტერესისა, არსებობს ისეთი ბარიერები, როგორებიცაა სოციალური პრობლემები, არაეფექტური მონაწილეობის ფორმები, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების რეალური ჩართულობის არარსებობა და რესურსების სიმწირე.

ახალგაზრდების ინფორმირებულობა გაეროს რეზოლუცია „ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგის თაობაზე და წინადადებები მომავალი მუშაობისთვის

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა ახალგაზრდების აღქმაზე ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შესახებ. რესპონდენტებმა დიდი ინტერესი გამოხატეს რეზოლუციის მიმართ და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ ეროვნული ქსელის შექმნის შესახებ. ახალგაზრდებმა ისაუბრებს ადგილობრივი ინიციატივების მნიშვნელობასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობის პოტენციალზე.

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში სხვადასხვა დონეზე - რეგიონში, ქალაქსა და თემში. მათ აღნიშნეს, რომ მათი მონაწილეობა საუნივერსიტეტო ტრეინინგ-სესიებში მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან პრაქტიკული ცოდნა და ახალი ინფორმაცია მიიღეს.

რესპონდენტები მიესალმნენ მშვიდობისა და უსაფრთხოების თემების ირგვლივ ახალგაზრდული ქსელის შექმნის იდეას . მათი თქმით, „ეროვნულ ქსელს შეუძლია გაგვაერთიანოს და გააძლიეროს ჩვენი ხმა“. ჯგუფის თვალსაზრისით სოციალურ ქსელებს გადამწყვეტი როლი აქვთ ამ პროცესში; დღევანდელ ციფრულ ეპოქაში სოციალური მედიის პლატფორმები აუცილებელია ინფორმაციის გასავრცელებლად და ახალგაზრდების ინფორმირებისთვის სხვადასხვა ღონისძიებებისა და ინიციატივების შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ამ ინსტრუმენტების გარეშე, სამიზნე აუდიტორიის ჩართვა ბევრად უფრო რთული იქნებოდა.

გამოკითხულთა აზრით, ახალგაზრდების ჩართულობისთვის აუცილებელია ინოვაციური მიდგომის გამოყენება. მაგალითად დასახელდა დებატების სკოლის მოწყობა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. მათი ხედვით, მსგავსი აქტივობები წაახალისებს ახალგაზრდებს, რომ სიღ-

რმისეულად შეისწავლიან საკითხები დებატებში მონაწილეობის მისაღებად და ასწავლის მათ ჩაერთონ ჯანსაღ დებატებში თანატოლებთან. ერთმა რესპონდენტმა ხაზგასმით აღნიშნა: „დებატების სკოლებს შეუძლიათ დაგვეხმარონ ჩვენი შეხედულებების ჩამოყალიბებასა და ურთიერთპატივისცემის განვითარებაში“.

მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს სხვადასხვა თაობის მიერ სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვაგვარ აღქმაზე. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ უფროსი თაობის ადამიანები, ხშირად, სამოქალაქო ჩართულობას პარტიულ აქტივიზმს უკავშირებენ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ახალგაზრდების მონაწილეობას სამოქალაქო აქტივიზმში. მათ ხაზი გაუსვეს სახელმწიფო უწყებების უშუალო ჩართულობის მნიშვნელობას ახალგაზრდებთან კომუნიკაციაში, რათა სახელმწიფო პოლიტიკა ასახავდეს ახალგაზრდების ინტერესებსა და მისწრაფებებს. „ჩვენთვის აუცილებელია ჩავერთოთ დისკუსიებში, რომლებიც გავლენას მოახდენს ჩვენს მომავალზე“, – განაცხადა მონაწილემ.

რესპონდენტების რეკომენდაცია არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი იყო ახალგაზრდებისადმი მიმართული მეტი ინიციატივის განხირციელება და მათი გაძლიერება. ახალგაზრდები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ერთად მუშაობის აუცილებლობას იმ გამოწვევების ეფექტურად გადასაჭრელად, რომლებსაც დღეს ახალგაზრდა თაობა აწყდება.

რეკომენდაციები

აღნიშნული კვლევის შედეგები ხაზს უსვამს თანამშრომლობითი მიდგომის აუცილებლობას, რათა გაზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა რეზოლუციის „ახალგაზრდების, მშვიდობისა, უსაფრთხოების“ დღის წესრიგის საქართველოში ლოკალიზაციის პროცესში. მნიშვნელოვანია კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება პოლიტიკის შემქმნელებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და მკვლევრებისთვის რათა დაეხმაროს ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრასა და მათი პოტენციალის გამოყენებაში უფრო მშვიდობიანი საზოგადოების შექმნისთვის.

პოლიტიკოსების როლი გადამწყვეტია, რათა ახალგაზრდული პერსპექტივები აისახოს მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში. მათ პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციას, როგორც ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის ცენტრალურ ნაწილს. YPS-ის დღის წესრიგის პრინციპების

სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრაციით, მათ შეუძლიათ უზრუნველყონ თანმიმდევრული და სტრუქტურირებული მიდგომა სამშვიდობო პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, პოლიტიკის შემქმნელებმა მხარი უნდა დაუჭირონ ინიციატივებს, რომლებიც აძლიერებენ ახალგაზრდებს ადგილობრივ დონეზე და გამოყონ რესურსები და მცირე გრანტები. მსგავსი შესაძლებლობები საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონებთან ახლოს მცხოვრებ თემებში, შეიმუშაონ და განახორციელონ პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობასა და მდგრადობას.

გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გაფართოება კიდევ ერთი ძირითადი მიმართულებაა. ამის მიღწევა შესაძლებელია სამთავრობო სტრუქტურებში ახალგაზრდული საბჭოებისა და პლატფორმების შექმნით, ახალგაზრდებისთვის გადაწყვეტილების მაგიდასთან ადგილის მინიჭებით და რეალური მონაწილეობითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რომელიც გავლენას მოახდენს მათ ცხოვრებაზე. მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ დისკუსიებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის მექანიზმების ხელშეწყობით, მთავრობას შეუძლია დაეხმაროს თაობათა განხეთქილების გადალახვას და ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების კულტურის ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა, საჭიროა სამშვიდობო განათლება სასკოლო და საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმებში ინტეგრირდეს, რათა ხელი შეეწყოს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობის აღქმას სასკოლო ასაკიდანვე. სკოლები და უნივერსიტეტები შეიძლება იქცნენ სივრცეებად, სადაც ახალგაზრდები ისწავლიან მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებს, აღიჭურვებიან დემოკრატიული მონაწილეობისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით. სამშვიდობო განათლება ასევე წაახალისებს ახალგაზრდებს, დაინახონ საკუთარი თავი, როგორც აქტიური მონაწილეები მშვიდობის მშენებლობის პროცესში თავიანთ თემებსა და მის ფარგლებს გარეთ.

არასამთავრობო სექტორისათვის

არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოებისა და აქტივისტური ჯგუფები ხელს უწყობენ ახალგაზრდების ჩართულობისა და გაძლიერების ალტერნატიული გზებით. ახალგაზრდების ჩართულობის გასაძლიერებლად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გადახედონ ჩართულობის ტრადიციულ მეთოდებს და დანერგონ ინტერაქტიული და ახალგაზრდებზე მორგებული მიდგომები. სტანდარტული შეხვედრების ორგანიზების ნაცვლად, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ინოვაციური ინსტრუ-

მენტები, როგორებიცაა როლური თამაშები, ციფრული პლატფორმები და სოციალური მედიის კამპანიები, რომლებიც იპყრობს ახალგაზრდა აუდიტორიის ყურადღებას. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის ინტეგრაციით, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ გააფართოვონ ურთიერთობის მასშტაბი და მოიზიდონ ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფი.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ ახალგაზრდული პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია ახალგაზრდული კლუბების, ადგილობრივი ჰაბების და სათემო ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც შენარჩუნდება პროექტის დაფინანსების დასრულების შემდეგ, შეინარჩუნებს ახალგაზრდების ინტერესს და ჩართულობას. ამ მხრივ, ასევე სასარგებლო იქნება მცირე ბიუჯეტიანი ინიციატივების მხარდაჭერა და ხელოვნებისა და კულტურის დაკავშირება მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან.

ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის

თავად ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ეკისრებათ უნიკალური პასუხისმგებლობა, მოახდინონ თანატოლების მობილიზება YPS-ის დღის წესრიგისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო. ეს ორგანიზაციები უნდა ფოკუსირდნენ ინკლუზიური სივრცეების შექმნაზე, რომლებიც სხვადასხვა ინტერესების, წარმომავლობისა და გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს გააერთიანებს. ამ მიზნის მისაღწევად, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შეუძიათ ითანამშრომლონ სკოლებთან, უნივერსიტეტებსა და ადგილობრივ ლიდერებთან, რათა დაუკავშირდნენ შედარებით გარიყულ და მარგინალურ ჯგუფებს და ჩართონ ისინი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ დისკუსიებში.

გარდა ამისა, ახალგაზრდული ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ გააძლიერონ ახალგაზრდები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი პროფესიული საქმიანობა მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროსთან დააკავშირონ. ბევრი ახალგაზრდა, რომელიც თავის სამომავლო კარიერას მშვიდობის მშენებლობას ან კონფლიქტების მოგვარებას უკავშირებს, აწყდება ბარიერებს, როგორებიცაა შეზღუდული რესურსები, ხილვადობა და მხარდაჭერა. ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაეხმარონ ამ ბარიერების გადალახვაში მენტორობის პროგრამების, ქსელის შესაძლებლობებისა და ტრეინინგების შეთავაზებით, რომლებიც ახალგაზრდებს ამ სფეროში კარიერის გასაგრძელებლად საჭირო რესურსებით უზრუნველყოფენ. ახალგაზრდა ლიდერების აღიარებამ და ხელშეწყობამ

სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში შეიძლება ხელი შეუწყოს პროფესიონალთა ახალ თაობას მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით.

იმისთვის, რომ YPS-ის დღის წესრიგმა უპასუხოს არსებულ საკითხებს, მომავალი კვლევები უნდა ჩაუღრმავდეს ახალგაზრდების ცხოვრებისეულ გამოცდილებას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებსა და ოკუპირებულ ტერიტორებთან ახლოს მდებარე რაიონებში, სადაც უნიკალური გამოწვევები გავლენას ახდენს მშვიდობისა და უსაფრთხოების მათეულ აღქმაზე. ამ საკითხებზე ფოკუსირებული კვლევა იძლევა ღირებულ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს გეოპოლიტიკური ფაქტორები ახალგაზრდების ჩართულობასა და დამოკიდებულებებს, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობის მშენებლობაში ახალგაზრდების ჩართულობის უფრო მორგებულ და რეგიონის სპეციფიკების გათვალისწინებით შემუშავებულ მიდგომებს.

გარდა ამისა, მომავალმა კვლევებმა უნდა გამოავლინოს გენდერული, კულტურული იდენტობისა და რეგიონული განსხვავებების ასპექტები ქართველ ახალგაზრდებს შორის. ასეთი კვლევა ხელს შეუწყობს იმის გარკვევას, თუ როგორ მოქმედებს კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ახალგაზრდების პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობისა და უსაფრთხოების ინიციატივების უფრო ინკლუზიური სტრატეგიების შემუშავებას. ასევე სასარგებლო იქნება იმის შესწავლა, თუ როგორ შეიძლება ციფრულმა ჩართულობამ და ვირტუალურმა პლატფორმებმა გააფართოვოს წვდომა სამშვიდობო განათლებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ონლაინ სივრცეები სულ უფრო აქტუალური ხდება ახალგაზრდების ჩართულობისთვის.

რეკომენდაციები პოლიტიკის შემქმნელებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და მკვლევარებისთვის ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი, თანამშრომლობითი მიდგომის აუცილებლობას ახალგაზრდების ჩართულობისთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში. საქართველოში ახალგაზრდების მრავალფეროვანი საჭიროებებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შექმნან საფუძველი უფრო მდგრადი, ინკლუზიური მშვიდობის მშენებლობისათვის, რომელიც აძლიერებს ახალგაზრდებს, როგორც უსაფრთხო და ჰარმონიული საზოგადოების მნიშვნელოვან კონტრიბუტორებს.

დასკვნა

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებმა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი ქართველი ახალგაზრდების პერსპექტივების რამდენიმე ძირითადი მიგნება გამოკვეთა. საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ამ საკითხების მიმართ ინტერესს იჩენენ, მაგრამ უამრავ ბარიერს აწყდებიან, რაც ხელს უშლის მათ ჩართულობას. სოციალური გამოწვევები, ეფექტური მონაწილეობის პლატფორმების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობის არასაკმარისი ინსტრუმენტები და რესურსების სიმცირე ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია, რომლებიც ხელს უშლიან ახალგაზრდებს ჩაერთონ მშვიდობისა და უსაფრთხოების ინიციატივებში.

ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების ინიციატივების უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება, რომლებიც ახალგაზრდებს სთავაზობენ სემინარებში, ბანაკებში, საველე ვიზიტებისა და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობას. თუმცა, ფუნდამენტური გავლენის მოხდენისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებს სჭირდებათ გრძელვადიანი ხედვა, ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა და მდგრადობის უზრუნველყოფა თავიანთი პროექტებში. ეს უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ ჩაერთონ სამშვიდობო ინიციატივებში, არ იყვნენ გარიყულები მუდმივი შესაძლებლობების არარსებობის გამო. არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიები ასევე უნდა მოიცავდეს ციფრული ჩართულობის გაფართოებას და ინოვაციური, ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებას ახალგაზრდებისთვის ხმის მიწვდომისა და მათგან გამოხმაურების მიღების მიზნით.

სახელმწიფოს მინიმალური როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობაში პრობლემის კიდევ ერთი შრეა. სამშვიდობო განათლების ნაკლებობა სკოლებსა და უნივერსიტეტებში აფერხებს ახალგაზრდების ინფორმირებულობას და მათ მიერ კონფლიქტების გააზრებას. საჯარო დაწესებულებებში ახალგაზრდების წარმომადგენლობას ძირითადად ფორმალური სახე აქვს და მათ არ შეუძლიათ რეალური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა აფერხებს ახალგაზრდებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების პოტენციალს და ამცირებს ინტერესს გრძელვადიანი მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი.

ფოკუს-ჯგუფის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ქართველი ახალგაზრდები კონფლიქტს განიხილავენ, როგორც მრავალმხრივ საკითხს, რომელიც არ შემოიფარგლება ღია ძალადობით, არამედ ღრმად არის დაკავშირებული

იდენტობასთან, ისტორიულ წყენასთან და სოციალურ უსამართლობასთან. მათთვის კონფლიქტი წარმოადგენს ურთიერთობებისა და სათემო კავშირების რღვევას, რომლებიც ხშირად რთულ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტზეა დაფუძნებული. მათი პერსპექტივები ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე დიალოგისა და ურთიერთგაგებისა გაძლიერების აუცილებლობას, რათა ხელი შეუწყოს შერიგებას კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის. მათი აზრით, დიალოგის საშუალებით სოციალური განხეთქილების გადალახვა აუცილებელია მდგრადი მშვიდობის მისაღწევად.

ახალგაზრდების პერსპექტივები მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ განსხვავდებოდა სქესის, რეგიონისა და ურბანულ-რურალური საცხოვრებელი გარემოს მიხედვით. ახალგაზრდა ქალები მეტწილად ყურადღებას ამახვილებდნენ პირად უსაფრთხოებაზე და აღნიშნავდნენ, რომ თავს საზოგადოების სტერეოტიპებით შეზღუდულად გრძნობდნენ. დიდ ქალაქებში ახალგაზრდები უფრო მეტად არიან ჩართული პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივიზმში და ინტერვიუს დროს ხაზს უსვამდნენ სამოქალაქო თავისუფლებებს, მაშინ, როცა რეგიონებსა და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები თავს გარიყულად გრძნობნენა ამ პროცესებიდან. ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრებმა ახალგაზრდებმა კი მშვიდობა, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურ უსაფრთხოებას დაუკავშირეს.

რეზოლუციის აქტუალიზაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც რეალურად ჩართავს ახალგაზრდებს მშვიდობისა და უსაფრთხოების ინიციატივებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გაზრდის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, წაახალისებს გრძელვადიან ინიციატივებს და გამოიყენებს ინოვაციური მიდგომებს.

ამ საკითხებზე აქტიური მუშაობით საქართველოს შეუძლია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ლიდერების თაობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება ქვეყანა უფრო მშვიდობიანი და მდგრადი მომავლისკენ წარმართოს. ადეკვატური მხარდაჭერითა და შესაძლებლობებით, ქართველ ახალგაზრდებს აქვთ პოტენციალი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ გრძელვადიან მშვიდობაში და გადალახონ საზოგადოებაში არსებული განხეთქილებები.

ელეონორა ჭანია, გიორგი რიჟვაძე

ახალგაზრდების ხედვა გაერო-ს რეზოლუცია „ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის“ შესახებ საქართველოში

კვლევის ანგარიში

თბილისი
2024